სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 14

ქ. სენაკი 19.06.2016წ.

ერთის მხრივ **ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა (ს/კ 239890259)** შემდგომში წოდებული, როგორც **„შემსყიდველი“** მისი დირექტორის ხვიჩა ბებიას სახით, და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ თბილისის საბუღალტრო სკოლა (ს/კ 419997613)** მისი დირექტორის თამაზ ბუკიას სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მიმწოდებელი“**, ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. სატრენინგო მომსახურება (კლასიფიკატორის კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი **80500000**);

1.2. **80510000**- მომსახურებები სპეციალისტების მომზადების სფეროში

1.3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ტრენინგ-კურსის ჩატარება და შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

2.1. **„მიმწოდებელი“** ვალდებულია:

2.1.1. დაიწყოს ტრენინგ-კურსი2016 წლის 22 ივნისს და დაამთავროს 2016 წლის 24 ივნისს;

2.1.2. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, შემსყიდველთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლების ჩატარების ფორმები და მეთოდები;

2.1.3. ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ ჩაატაროს სასერთიფიკატო ტესტირება;

2.1.4. ტრენინგ-კურსის განხორციელებისას დაიცვას საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტები;

2.2. **„შემსყიდველი“** ვალდებულია:

2.2.1. ტრენინგ-კურსის პერიოდში უზრუნველყოს მსმენელის დასწრება ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე;

2.2.2. დროულად აანაზღაუროს ტრენინგ-კურსის საფასური ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. სატრენინგო მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი:

3.1. საბუღალტრო სკოლის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული სატრენინგო მომსახურების თანხა შეადგენს **300 (სამას) ლარს;**

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან **3 (სამი)** სამუშაო დღის ვადაში;

4. მხარეთა პასუხისმგებლობა:

4.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზარალს აანაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.2. მხარეთ ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათი მიზეზით ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობას;

5. ფორს-მაჟორი:

5.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრლების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას;

5.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის **„ფორს-მაჟორი“** ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული **„შემსყიდველის “ან/და„მიმწოდებლის“** შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

6. დავის გადაჭრის წესი:

6.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

6.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს საერთო სასამართლოს.

7.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები:

7.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების დადგენილი ვადლებულებების სრულად შესრულებამდე.

8.გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

8.1. ამ ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოს ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

8.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი კარგავს ძალას, და მოქმედებას აგრძელებს ძალადაუკარგავი მუხლები დაპუნქტები;

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება **„შემსყიდველთან“**, მეორე - **„მიმწოდებელთან“**

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სამატვრო სკოლა	ა(ა)იპ თბილისის საბუღალტრო სკოლა
(ს/კ 239890259)	თბილისი, გლდანის I მ/რ,
მის: ქ. სენაკი რუსთაველის №152	ბიზნეს ცენტრი ,,ჩემპიონი”,ოფისი 87ა
	ს/კ 419997613
	საბანკო კოდიTBCBGE 22
	ა/ა GE24TB 750723 608 010 0007
დირექტორი: ბ. ბებია	დირექტორი: თ. ბუკია